



სკოლებში ფინანსური განათლების
პროგრამის ეფექტიანობა –
სკოლა-ბანკის მაგალითი

ISSET

1. შესავალი¹

ადამიანებს ადრეული ასაკიდან უწევთ რთული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება. ცხოვრების ადრეულ ეტაპზე დაშვებული ფინანსური შეცდომები შეიძლება ძვირი დაგვიჯდეს. შესაბამისად ფინანსური განათლების როლი ჯანსაღი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. ფინანსური განათლების ნაკლებობა აისახება შინამეურნეოების ფინანსურ ქცევებზე. ადამიანები, რომელთაც არ აქვთ შესაბამისი ფინანსური განათლება, ნაკლებად მონაწილეობენ საფონდო ბირჟის აქტივობებში (ვან რუიჯი და სხვები, 2011 წ.), ირჩევენ ორმხრივ საინვესტიციო ფონდებს მაღალი დანახარჯებით (პასტინგსი და ტეჯედა-ემტონი, 2008 წ.) და ნაკლებ დანაზოგს აკეთებენ საპენსიო ასაკისთვის (ბერმანი და თანაავტორები, 2010 წ.). არსებობს არაერთი მტკიცებულება, რომ ფინანსურად ნაკლებად განათლებული ადამიანები უფრო მეტს იხდიან იპოთეკურ სესხებზე (მური, 2003 წ.) და მეტი შანსია, რომ მათ უფრო ძვირადღირებული სესხი აიღონ.

აქედან გამომდინარე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა სფეროში მომუშავე პოლიტიკის გამტარებლებს ესმოდეთ ახალგაზრდებში ფინანსური განათლების აუცილებლობა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების, კერძო საფინანსო სექტორისა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობითა და გერმანული შემნახველი ბანკების ასოციაციის (SBFIC) მხარდაჭერით, 2016 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია. ამ სტრატეგიის მიზანია საქართველოში ფინანსური განათლების დონის ამაღლებისთვის საჭირო სახელმძღვანელო პრინციპებისა და სტრატეგიული მიმართულებების შექმნა. სტრატეგიის ფარგლებში შეირჩა საზოგადოების განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფები: მოსწავლეები, სტუდენტები, უმუშევარი მოსახლეობა, დიდ კომპანიებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები, სოფლის მოსახლეობა, ადამიანები კონკრეტული ცხოვრებისეული მომენტების წინაშე (მაგალითად, ადამიანები, რომლებიც უნივერსიტეტში სასწავლებლად მიდიან, ყიდულობენ სახლს, ქორწინდებიან და სხვ.). შესაბამისად, შემუშავებულ იქნა სხვადასხვა მეთოდები და არხები (მაგალითად, ფორმალური ფინანსური განათლების კურსი სკოლის მოსწავლეებისთვის, სამუშაოსთან დაკავშირებული ტრენინგი დასაქმებულებისთვის), რომ აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენლებმა მიიღონ ფინანსური განათლება.

ნაშრომი მეტწილად ეხება სკოლის მოსწავლეთა ფინანსური განათლების მნიშვნელობას. როგორც ეროვნულ სტრატეგიაშია ხაზგასმული, ფინანსური განათლების საფუძველი ადრეულ ასაკშივე უნდა ჩაიყაროს, რადგან ამ დროს უფრო მარტივია პირადი ფინანსების მართვის ჩვევის გამომუშავება და შემდგომ მისი კულტურად ქცევა. გრძელვადიან პერსპექტივაში, ახალგაზრდების ფინანსურ განათლებაში ინვესტირებით ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ, გამოიმუშაონ სწორი ფინანსური დამოკიდებულება და უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისთვის. სეკიტამ (სეკიტა, 2011 წ.) შეაფასა ფინანსური განათლების პროგრამის დადებითი გავლენა იაპონიის სკოლებში და დაადგინა, რომ, თუ ადამიანები ბავშვობაში რეგულარულად აკეთებენ დანაზოგს, მეტი შანსია, ზრდასრულ ასაკში უკვე ჰქონდეთ პენსიაზე გასვლის კონკრეტული გეგმა.

ამ ნაშრომში ჩვენ ვაფასებთ სკოლის მოსწავლეების ფინანსური განათლების განმსაზღვრელ ფაქტორებს და სკოლა-ბანკის პროექტის ეფექტიანობას. სკოლა-ბანკი არის სტანდარტული საგანმანათლებლო მოდული, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა Child and Youth Finance International-თან (CYFI)

¹ ფინანსური მხარდაჭერისათვის მაღლობას ვუხდით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

თანამშრომლობით შეიმუშავა. საგანმანათლებლო მოდული მოიცავს 60-წუთიან გაკვეთილებს პირად ფინანსებთან, საბანკო პროდუქტებთან, მომხმარებელთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ 15 სხვადასხვა თემაზე. პროექტში მონაწილე მოსწავლეებმა შეავსეს პროგრამის პრე და პოსტ კითხვარები, რომელიც ფინანსური განათლების სამივე კომპონენტს – ცოდნას, დამოკიდებულებას, ქცევას – ამოწმებს. ძირითადი ანალიზის დროს სწორედ ამ კითხვარის მონაცემებია გამოყენებული.

ემპირიულმა შედეგებმა აჩვენა, რომ შერჩეული სკოლის მოსწავლეების საწყისი ფინანსური განათლების დონეზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს მოსწავლის სქესი, კლასი, სკოლის გეოგრაფიული მდებარეობა და შემოსავლის წყარო. თუმცა დადგინდა, რომ მოსწავლის მიერ საბანკო დეპოზიტის ქონასა და ფინანსურ განათლებას შორის დადებითი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. ხელმისაწვდომი მონაცემების სიმწირის გამო, ჩვენ ვერ ვასკვნით, რომ საბანკო დეპოზიტის ქონა იწვევს მოსწავლის მაღალ ფინანსურ განათლებას. ვუშვებთ, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული გარეგანი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს როგორც ბავშვების ფინანსურ განათლებას, ისე მათ მიერ საბანკო დეპოზიტის ქონას. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სადეპოზიტო ანგარიშის გასახსნელად 18 წელს ქვემოთ ბავშვებს სჭირდებათ აგრეთვე მშობლების თანხმობა. ამგვარად, მშობლების ფინანსურმა განათლებამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ბავშვების ფინანსურ განათლებასა და ასევე იმ გადაწყვეტილებაში გაუხსნან თუ არა ბავშვებს სადეპოზიტო ანგარიში. მშობლები არიან ბავშვების ეკონომიკური სოციალიზაციის წყარო, სწორედ ისინი ასწავლიან მათ დაზოგვის მნიშვნელობას და ეხმარებიან მათ საბანკო ანგარიშის გახსნაში (კიმი და თანაავტორები, 2011 წ.; მანდელი, 2010 წ.; შენკსი და თანაავტორები, 2010 წ.). მეორე მხრივ, ახალგაზრდების მიერ დანაზოგების გაკეთებაზე მოქმედებს როგორც ინდივიდუალური თავისებურებები, ისე ინსტიტუციური ფაქტორები. სხვადასხვა ფინანსური პროდუქტების შეთავაზებით ბანკებს შეუძლიათ კიდევ უფრო წახალისონ მოზარდებში დაზოგვისკენ მიდრეკილება და ეკონომიკური ქცევის ჩამოყალიბება.

ნაშრომის კიდევ ერთი მიზანი არის სკოლა-ბანკის პროექტის ეფექტიანობის შეფასება. კვლევამ აჩვენა, რომ შერჩეული სკოლების მოსწავლეთა ფინანსური განათლების საშუალო დონე სკოლა-ბანკის პროექტის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მეტიც, კვლევამ გამოავლინა, რომ ფინანსური განათლების ასეთი გაუმჯობესება ძირითადად განაპირობა ფინანსური ცოდნისა და ფინანსური დამოკიდებულების მკვეთრმა ზრდამ, მაშინ როცა ფინანსურ ქცევაზე ზემოქმედება უმნიშვნელო დარჩა.

ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირია: ნაშრომის მეორე ნაწილში მიმოვიხილავთ არსებულ ლიტერატურას. მესამე ნაწილში აღწერილია მონაცემები და ემპირიული მოდელის მონახაზი. მეოთხე ნაწილში საუბარია კვლევის შედეგებზე, რის შემდეგაც მეხუთე ნაწილში წარმოვადგენთ ნაშრომის ძირითად დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ფინანსური განათლების პროგრამები გაცილებით ეფექტურია, როდესაც გათვლილია მოსახლეობის კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებზე. ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ფინანსური განათლების დონე ყველაზე დაბალი ახალგაზრდებშია². შედეგად, ისინი არ არიან რაციონალურები ფინანსური პროდუქტების შერჩევის დროს და ხშირად არც არიან დაინტერესებული, სწორად დაგეგმონ

² ფინანსური განათლება სკოლებში, OECD/International Network on Financial Education (INFE)

საკუთარი ფინანსები. 2015 წელს OECD-ის მიერ შემუშავებული რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია, სკოლებში ფინანსური განათლების პროგრამები ადრეულ ეტაპზე დაიწყოს და ფინანსური განათლება გახდეს სკოლებში სასწავლო გეგმის ნაწილი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში ფინანსური განათლების პროგრამების ეფექტიანობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები თითქმის არ არსებობს.

ვისკონსინის სკოლებში ფინანსური განათლების პროგრამების ეფექტიანობის შესწავლის შემდეგ, ბეტიმ და მისმა თანაავტორებმა (Batty et al., 2015) დაადგინეს, რომ ფინანსური განათლება III-V კლასების მოსწავლეებში მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში კი არ ზრდის ფინანსურ ცოდნას, არამედ მიღებული ცოდნა ერთი წლის შემდეგაც მოქმედებს დაზოგვისკენ მიდრეკილებაზე. საკონტროლო საველე ექსპერიმენტის გამოყენებით, კალვიჯმა და მისმა თანაავტორებმა (Kalwij et al., 2017) შეისწავლეს 45-წლიანი ფინანსური განათლების პროგრამის მოკლევადიანი ეფექტი ფინანსურ ცოდნასა და დაზოგვის ქცევაზე ჰოლანდიის დაწყებით სკოლებში. კვლევამ აჩვენა, რომ VI კლასის მოსწავლეებში არამხოლოდ ფინანსური განათლების დონე გაიზარდა მნიშვნელოვნად, ასევე გაუმჯობესდა დაზოგვისკენ მიდრეკილებაც.

ფორმალური ფინანსური განათლების სასწავლო პროგრამებთან ერთად, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლებისადმი ინტერესიც იზრდება. შედარებით ახალი კვლევები ხაზს უსვამს სკოლის მოსწავლეებისთვის ფორმალურ შემნახველ ანგარიშებზე ადრეული წვდომის მნიშვნელობას. კოტლიკოვმა და ბერნჰაიმმა (Kotlikoff and Bernheim, 2001) დაადგინეს, რომ ადამიანები, რომელთაც ბავშვობაში ჰქონდათ სახარჯო ფული, საბანკო ანგარიში, ბევრად მეტს ზოგავდნენ და მეტ ქონებას აგროვებდნენ. ანალოგიურად, ზენმა და მისმა თანაავტორებმა (Zhan et al., 2006) დაასკვნეს, რომ ფინანსური მართვის ტრენინგის მონაწილეები, რომელთაც საბანკო ანგარიში ჰქონდათ, ბევრად უფრო მაღალ ქულას იღებდნენ. ფინანსურ განათლებასა და ფინანსურ ქცევას შორის კავშირი შეაჯამეს ჯონსონმა და შერადენმა (Johnson and Sherraden, 2007). მათი აზრით, ახალგაზრდებს შორის ფორმალურ ფინანსურ პროდუქტებზე წვდომის შეიძლება გავლენა იქონიოს მათ უნარზე, მიიღონ ცოდნა და უნარ-ჩვევები ფინანსური განათლების გაკვეთილებზე. მეტიც, ისინი ფიქრობენ, რომ ახალგაზრდების მიერ მიღებული ფინანსური განათლება შეიძლება მნიშვნელოვნად არ აისახოს მათ ფინანსურ კეთილდღეობაზე, თუ მათ არ აქვთ წვდომა ფინანსურ ინსტიტუტებსა და მათ მომსახურებებზე. შესაბამისად, ძირითად ფინანსურ ინსტიტუტებზე წვდომის არქონის შემთხვევაში, მხოლოდ ფინანსური განათლების ქონამ შეიძლება ვერ გაზარდოს ფინანსური კეთილდღეობა.

არსებული ლიტერატურა გვთავაზობს ორ ახსნას, როგორ შეიძლება ჰქონდეთ ახალგაზრდებს წვდომა ფორმალურ ფინანსურ პროდუქტებზე, როგორიცაა შემნახველი ანგარიში. ეს ფაქტორებია: ინდივიდუალური, მათ შორის ეკონომიკური სოციალიზაცია (მაგ. მშობლების ფინანსური განათლება), და ინსტიტუციური ფაქტორები მათ შორის, ეროვნული ბანკების საკანონმდებლო პოლიტიკა და სხვ.

ეკონომიკური სოციალიზაცია, როგორც წესი, აქცენტს აკეთებს ოჯახის როლზე ბავშვებისთვის ფულისა და

„წარმოიდგინეთ შემდეგი სცენარი: ახალგაზრდა ადამიანი რეგულარულად დადის ბანკში მშობლებთან ერთად, რათა დაბადების დღისა და დღესასწაულების თანხა შემნახველ ანგარიშზე დადოს. 13-17 წლისა შეიძლება თანხას ზოგავდეს ისეთი გრძელვადიანი ხარჯებისთვის, როგორიცაა მანქანის ყიდვა. ის აგრძელებს თანხის დაზოგვას 18-22 წლის ასაკში, როდესაც მოზარდობიდან ზრდასრულობის ასაკში გადადის. ის უკვე დიდი ხანია თანხას ზოგავს, ამიტომ მისი დაზოგვის სტრატეგია დაიხვეწა და ეკონომიკური კეთილდღეობაც უზრუნველყოფილია. ის შეიძლება იხდიდეს სწავლის გადასახადს, ინახავდეს თანხას პირველი სახლის საყიდლად, თანხას აბანდებდეს ბირჟაზე და ავტომატურად რიცხავდეს ხელფასიდან თანხას შემნახველ ანგარიშზე“.

ფრიდლანდინი და თანაავტორები (2012 წ.)

პირადი ფინანსების სწავლების საქმეში (Furnhain, 1996). ამ პროცესში მშობლების როლი გადამწყვეტია. მშობლები ეხმარებიან შვილებს შემნახველი ანგარიშების გახსნაში და ასწავლიან მათ დაზოგვის მნიშვნელობას (Kim et. al, 2011). ამ თვალსაზრისით, ბავშვების ეკონომიკურ სოციალიზაციაზე გავლენას სწორედ მშობლების ინდივიდუალური გადაწყვეტილებები ახდენს.

შერადანის (1991) აზრით, ფინანსურ პროდუქტებზე წვდომამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკურ სოციალიზაციას და უკეთესი ეკონომიკური შედეგები მოგვცეს. სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, როგორცაა ფინანსური პროდუქტები და ფინანსური მომსახურებები, ფინანსურ ინსტიტუტებს შეუძლიათ შეცვალონ ადამიანთა ეკონომიკური ქცევა (Beverly et al., 2008). ადამიანები, რომლებსაც აქვთ წვდომა ფორმალურ სადეპოზიტო პროდუქტებზე, დიდი ალბათობით, უფრო მეტს ზოგავენ, ვიდრე ისენი, ვისაც მსგავსი შესაძლებლობა არ აქვთ (შერადანი და მაკბრაიდი, 2010). სამწუხაროდ, ფინანსურ ინსტიტუტებს შეიძლება არ ჰქონდეთ ახალგაზრდებისთვის ფორმალური ფინანსური პროდუქტების შეთავაზების ინტერესი. ეს შეიძლება აიხსნას ნეოკლასიკური თეორიით, რომლის თანახმადაც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდები ადრეულ ასაკშივე დააგროვებენ ქონებას და დაზოგავენ ფულს. როგორც წესი, დაბალი შემოსავლებისა და მაღალი მოხმარების გამო, ისინი უფრო ხშირად ვალებს იღებენ.

თუ პოლიტიკის მიზანია სკოლის მოსწავლეებში ფინანსური განათლების გაზრდა, მაშინ აუცილებლად გასათვალისწინებელია მშობლების განათლების დონეც. აქვე უნდა აღინიშნოს ფინანსური ინსტიტუტების როლიც, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეებს, მიღებული თეორიული ფინანსური ცოდნა ფორმალური ფინანსური პროდუქტების გამოყენებით პრაქტიკულ უნარად აქციონ.

3. მონაცემები და მოდელი

3.1 მონაცემები

სკოლა-ბანკი Child and Youth Finance International-ის (CYFI) შექმნილი პროგრამაა, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით განახორციელა საქართველოს საჯარო სკოლებში. პროექტის მიზანია, წახალისოს ბავშვები და ახალგაზრდები, რისთვისაც მათ აძლევს წვდომას საბანკო პროდუქტებსა და ეკონომიკურ-სამოქალაქო განათლებაზე.

2017 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სკოლა-ბანკის პროექტის პილოტირება მოხდა თბილისის, რუსთავისა და მცხეთის 11 საჯარო სკოლაში. სკოლები თვითდაინტერესების პრინციპით შეირჩა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლა-ბანკის პროექტის შესახებ ინფორმაცია ყველა სკოლაში გაავრცელა. შეირჩა სკოლები, რომლებიც პროექტში მონაწილეობით დაინტერესდნენ. პილოტირებული სკოლა-ბანკის პროექტი ძირითად აქცენტს სწავლების კომპონენტზე აკეთებდა. სასწავლო მოდული მოიცავდა პირადი ფინანსების, მომხმარებელთა უფლებებისა და პასუხისმგებლობების და საბანკო სექტორთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

თვითშერჩეული შერჩევა კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვაა. რთულია, რეალური მიზეზის დადგენა, რატომ ჩაერთვნენ ან არ ჩაერთვნენ მოსწავლეები სკოლა-ბანკის პროექტში. თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლა-ბანკი არის პირველი ფორმალური ფინანსური განათლების პროგრამა სკოლებში, შეიძლება დავუშვათ, რომ ფინანსური განათლების საწყისი დონე სკოლის მოსწავლეებს შორის მეტ-ნაკლებად ერთნაირია. სკოლის მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ მოსწავლეები სკოლა-ბანკის პროექტში

იმიტომ ჩაერთვნენ, რომ პროექტი ახალი და ინოვაციურია. თუმცა აღნიშნული შერჩევა მაინც არ გვადლევს კვლევის შედეგების მთელს პოპულაციაზე განზოგადების საშუალებას.

სკოლა-ბანკის პროექტის ეფექტიანობა პრე და პოსტ-ტესტებიდან მიღებული მონაცემებით შევაფასეთ. შერჩევის რეგიონული განაწილება აჩვენებს, რომ თბილისზე მოდის ყველაზე დიდი წილი (პრე-ტესტის 47%), მას მოსდევნ რუსთავი, ქსანი და მცხეთა (იხ. დანართი, ცხრილი 1). პრე-ტესტის შემთხვევაში, გოგონების წილი 52% იყო, ბიჭების – 48%. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გოგონების წილი პოსტ-ტესტში კიდევ უფრო მაღალია და 62%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი 2). ეს იმას ნიშნავს, რომ გოგონებს უფრო აინტერესებთ სკოლა-ბანკის პროექტი და პროპორციულად უფრო მეტმა გოგომ დაამთავრა კურსი.

სკოლა-ბანკის საპილოტე პროექტში მონაწილეობა მიიღეს მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებმა. კლასების მიხედვით პრე-ტესტის შედეგების განაწილებამ აჩვენა, რომ მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეებს უფრო აინტერესებთ სკოლა-ბანკის პროექტი, ვიდრე მე-9 კლასის მოსწავლეებს. პროექტში მე-9 კლასის მხოლოდ სამი მოსწავლე ჩაერთო. კურსი დაასრულა მე-7 კლასელთა 61%-მა, მე-8 კლასელთა შემთხვევაში ეს რიცხვი კიდევ უფრო მაღალია და 76%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი 3).

ფინანსური განათლების შეფასების სტანდარტული მეთოდოლოგია გულისხმობს ფინანსური განათლების კითხვებზე სწორად გაცემული პასუხების რაოდენობის დათვლას (ჰუნგი და თანაავტორები, 2009; კალვიჯი და თანაავტორები, 2017). ანალოგიურად, ჩვენ შემთხვევაშიც, ფინანსური განათლების დონე გამოთვლილია ფინანსური განათლების 6 კითხვაზე გაცემული სწორი პასუხების რაოდენობით.

შეკითხვა 1. **დამოკიდებულება:** მე ვფიქრობ, რომ ფულის დაზოგვა სასარგებლოა;

შეკითხვა 2. **ქცევა:** მე, რეგულარულად, ვინახავ ფულს უსაფრთხო ადგილას;

შეკითხვა 3. **ქცევა:** მე, ყოველთვის ყურადღებით ვგეგმავ, თუ როგორ და რაში დავხარჯო ფული;


შეკითხვა 4. **ცოდნა:** მე ვიცი თუ რას გულისხმობს ძირითადი ფინანსური ცნებები, როგორიცაა დეპოზიტი და საბანკო ბარათები;

შეკითხვა 5. **ცოდნა:** დავუშვათ, რომ 10 მეგობარს 250 ლარი და 50 თეთრი მისცეს. თუკი მეგობრებმა თანაბრად უნდა გაიყონ ეს თანხა, რამდენი შეხვდება თითოეულ მათგანს?

შეკითხვა 6. **ცოდნა:** დავუშვათ, რომ დეპოზიტზე განათავსე 100 ლარი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი წლიური 2%-ია. რა თანხა დაგიგროვდება დეპოზიტზე 5 წლის შემდეგ თუ თანხას ამ პერიოდის განმავლობაში ხელს არ ახლებ?

პირველი 4 შეკითხვა გაზომილია ლიკერტის სკალით (ეს სკალა გამოიყენება ამა თუ იმ საკითხისადმი ადამიანთა დამოკიდებულების გასაზომად), რომლებზე პასუხებიც შეიძლება იცვლებოდეს „საერთოდ არ ვეთანხმებიდან“ „სრულად ვეთანხმებიმდე“. ისეთი პასუხები, როგორიცაა „ვეთანხმები“ და „სრულად ვეთანხმები“ ითვლება „სწორ“ პასუხებად, ხოლო „საერთოდ არ ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“ და „სულერთია“ პასუხები ითვლება „არასწორ“ პასუხებად. ეს 6 შეკითხვა მოიცავს ფინანსური განათლების სამივე კომპონენტს. ესენია: ფინანსური დამოკიდებულება, ფინანსური ქცევა და ფინანსური ცოდნა.

გრაფიკი 1. სწორი პასუხების განაწილება პრე-ტესტის შემთხვევაში (მონაწილეობა მიიღო 232 რესპონდენტმა)



წყარო: ავტორის გამოთვლები

პრე-ტესტის შედეგების მიხედვით, ფინანსური განათლების დონის განაწილება აჩვენებს, რომ სტუდენტების უმეტესობამ კითხვებს სწორად უპასუხა. განაწილება მარცხენა მხარეს იხრება, მხოლოდ ერთმა სტუდენტმა უპასუხა არასწორად ყველა შეკითხვას. საშუალოდ, შეკითხვების 68%-ზე მივიღეთ სწორი პასუხები, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეებმა საშუალოდ ექვსიდან ოთხ კითხვაზე გასცეს სწორი პასუხი.

3.2 მოდელი

მოდელი (1) შეფასდა მხოლოდ პრე-ტესტის პასუხების ($t = 0$) გამოყენებით და უჩვენებს, რა კავშირია ფინანსურ განათლებასა და მოსწავლეების ინდივიდუალურ თავისებურებებს (მაგალითად, სქესი, ასაკი, სკოლის ადგილმდებარეობა³, მოსწავლის⁴ შემოსავლის წყარო და საბანკო დეპოზიტის ქონა) შორის.

$$Y_{i0} = \alpha_0 + X_{i0}^T \alpha + \varepsilon_{i0} \quad i \in \{1, \dots, n\} \quad (1)$$

³ ეს არის ფიქტიური ცვლადი =1, თუ სკოლა თბილისშია, =0, თუ სკოლა თბილისს გარეთაა.

⁴ ეს არის ფიქტიური ცვლადი =1, თუ ბავშვებს აქვთ ფული ისეთი წყაროებიდან, როგორიცაა საჩუქრები, სტიპენდია/გრანტი და ნახევარ-განაკვეთური სამსახური, =0, თუ მოსწავლეებს ჯიბის ფულს მშობლები აძლევენ.

სადაც Y_{it} არის პრე-ტესტის 1-6 შეკითხვაზე გაცემული სწორი პასუხების წილი, X_{it} არის ამხსნელი ცვლადები ε_{it} არის სტანდარტული შეცდომა, α კი არის შეფასების პარამეტრი ვექტორი.

მეორეს მხრივ, სკოლა-ბანკის პროექტის ეფექტიანობის შესაფასებლად ვიყენებთ საშუალო მნიშვნელობების შედარებებს⁵. ძირითადი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ განსხვავდება ფინანსური განათლება სკოლა-ბანკის პროექტის დაწყებისა და დასრულების შემდეგ ზოგადად და ზოგიერთ ქვეჯგუფში, მაგალითად, სქესის, სკოლის ადგილმდებარეობის, საბანკო დეპოზიტის ფლობის მიხედვით ქვეჯგუფებში.

ზემოთ წარმოდგენილი მოდელების მიხედვით, შევამოწმეთ შემდეგი ჰიპოთეზები:

ჰიპოთეზა 1: ფორმალურ ფინანსურ პროდუქტებზე წვდომა კავშირშია სკოლის მოსწავლეთა ფინანსური განათლების დონესთან.

ჰიპოთეზა 2: სკოლა-ბანკის პროექტის შემდეგ ფინანსური განათლების დონე შერჩეული სკოლის მოსწავლეებში გაიზარდა.

4. ემპირიული შედეგები

4.1 ფინანსური განათლების დეტერმინანტები

შეფასებას ვიწყებთ საბაზისო მოდელით (1), რომელიც აერთიანებს სტუდენტების ისეთ ინდივიდუალურ თავისებურებებს, როგორიცაა სქესი, კლასი, სკოლის ადგილმდებარეობა და საბანკო დეპოზიტის ქონა. მივიღეთ, რომ დეპოზიტის ქონასა და ფინანსური განათლების დონეს შორის მნიშვნელოვანი დადებითი ურთიერთდამოკიდებულებაა. ხელმისაწვდომი მონაცემების სიმწირის გამო ვერ ვასკვნით, რომ საბანკო დეპოზიტის ქონასა და ფინანსურ განათლებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს. თუმცა, მეორე მხრივ, საბანკო დეპოზიტის მქონე სტუდენტები ფინანსურად უფრო განათლებულები არიან, ვიდრე დეპოზიტების არმქონე სტუდენტები. შედეგს შეიძლება განაპირობებდეს რიგი გარეგანი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ბავშვების ფინანსურ განათლებასაც და საბანკო ანგარიშის ქონასაც. როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, არსებული ლიტერატურა (Mandel, 2010; Kim et. al, 2011) აქცენტს მეტწილად ამ პროცესში მშობლების როლზე აკეთებს. მშობლებს ორი არხით შეუძლიათ გავლენა მოახდინონ შვილების ფინანსურ განათლებაზე. პირველი არხი პირდაპირია და აჩვენებს მშობლებისგან შვილებზე ფინანსური ცოდნის გადაცემას. მეორე არხი არის ბავშვების ადრეული წვდომა ფორმალურ ფინანსურ პროდუქტებზე (მაგალითად, დეპოზიტებზე). 13-14 წლის ასაკში საბანკო დეპოზიტის გახსნის შესახებ გადაწყვეტილებას ბავშვები დამოუკიდებლად ვერ იღებენ, მათ სჭირდებათ მშობლების თანხმობა. შედეგად, საბანკო დეპოზიტის ქონა ნიშნავს, რომ მშობლებმა გადაწყვიტეს შვილებისთვის თანხა დაზოგონ. ამგვარად, ამ გადაწყვეტილებას შეიძლება მეტწილად განაპირობებდეს მშობლების და არა ბავშვების ფინანსური განათლება. თუმცა, ბავშვები საბანკო დეპოზიტის ქონით უკვე იღებენ სარგებელს, რადგან ბანკში მისვლით იღებენ ცოდნას, თანხას დებენ დეპოზიტზე, ითვისებენ საპროცენტო შემოსავალს, იღებენ ფულის დროით ღირებულებას და ა.შ.

⁵ ჩვენ ვაკვირდებით პრე და პოსტ-ტესტებს, თუმცა ვერ ვახერხებთ ამ ორი ტესტის შედეგების ერთმანეთთან დაკავშირებას. ამიტომ ვერ ვიყენებთ DIF-DIF მეთოდს.

ცხრილი 1. მოდელის შეფასების შედეგები

	(1)	(2)	(3)
ბიჭი	-0.015 (0.027)	-0.009 (0.027)	-0.024 (0.029)
მე-8 კლასი	0.018 (0.030)	0.010 (0.031)	0.023 (0.031)
მე-9 კლასი	0.034 (0.080)	0.027 (0.082)	-0.051 (0.099)
დედაქალაქი	0.068** (0.030)	0.054* (0.032)	-0.081 (0.071)
ბანკის დეპოზიტი	0.080* (0.040)	0.081* (0.042)	0.085* (0.044)
შემოსავლის წყარო		0.029 (0.034)	0.031 (0.037)
მუდმივა	0.638*** (0.029)	0.643*** (0.029)	0.726*** (0.065)
სკოლის ეფექტი	No	No	Yes
დაკვირვებათა რაოდენობა	229	225	225
R-squared	0.040	0.037	0.070

შესწორებული სტანდარტული შეცდომები მოცემულია ფრჩხილებში

*** $p < 0.01$, ** $p < 0.05$, * $p < 0.1$

მოდელში შემოსავლის წყაროსა და სკოლის ეფექტის (3) დამატების შემდეგ, საბანკო დეპოზიტის ეფექტი ფინანსურ განათლებაზე მაინც მნიშვნელოვანი და დადებითია. საბანკო დეპოზიტის ქონა ნიშნავს, რომ ფინანსური განათლების დონე 8.5%-ით მაღალია.

ფინანსურ განათლებაში გენდერული სხვაობის შესახებ უამრავი ნაშრომი იწერება (Chen and Vopie (2002), Grohmann (2016)), თუმცა მათგან განსხვავებით, ჩვენ დავინახეთ, რომ გენდერი მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს შერჩეული სკოლის მოსწავლეების საწყის ფინანსურ განათლების დონეში. ეს შეიძლება რამდენიმე ფაქტორით აიხსნას, თუმცა არც შერჩევის მეთოდოლოგია არ უნდა დაგვაკვიწყდეს. როგორც უკვე ვახსენეთ, სკოლა-ბანკის საპილოტე პროექტი იყო არჩევითი და არა სავალდებულო კურსი. ეს იმას ნიშნავს, რომ შერჩეულ მოსწავლეებს მეტნაკლებად ერთნაირი ინტერესი და საწყისი განათლების დონე ჰქონდათ. მაგალითად, პრე-ტესტში როგორც გოგონების, ისე ბიჭების 68%-მა გასცა ფინანსური განათლების კითხვებს სწორი პასუხი.

გენდერის მსგავსად, ფინანსურ განათლებაზე მნიშვნელოვან გავლენას არც კლასი არ ახდენს. შერჩევაში შედის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეები. 232 მონაწილიდან უმეტესობა მე-7 ან მე-8 კლასის მოსწავლეა, მე-9 კლასის მოსწავლე მხოლოდ სამია. თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლა-ბანკი არის პირველი ფინანსური განათლების კურსი სკოლებში და მანამდე სკოლის მოსწავლეებს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული კურსები არ გაუვლიათ, მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეთა საწყისი ფინანსური განათლების დონე თითქმის ერთნაირი უნდა იყოს. მონაცემებიც ამყარებს ამ არგუმენტს, რადგან პრე-ტესტში მე-7 კლასელებმა კითხვების 69%-ს უპასუხეს სწორად, მე-8 კლასელებმა კი 67%-ს.

ძირითად მოდელში დედაქალაქის ეფექტიც არ არის მნიშვნელოვანი. ეს შეიძლება იმ ფაქტით აიხსნას, რომ დანარჩენი ქალაქების მოსწავლეთა უმეტესობა წარმოადგენს რუსთავს, რომელიც სიდიდით მესამე ქალაქია

საქართველოში. ამგვარად, თბილისსა და რუსთავს შორის მოსწავლეთა ზოგადი განათლებისა და ფინანსურ მომსახურებებზე წვდომის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის. შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა ფინანსური განათლება არ არის დამოკიდებული შემოსავლის წყაროზე. არ აქვს მნიშვნელობა, მოსწავლე ფულს მშობლისგან იღებს, სტიპენდიიდან, გრანტიდან, საჩუქრიდან თუ ხელფასიდან, მათი ფინანსური განათლება დიდად არ განსხვავდება.

ამგვარად, დემოგრაფია და გეოგრაფია მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს ფინანსური განათლების საწყის დონეზე გაანგარიშებაში. ძირითადი მოდელებიდან მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ფინანსური პროდუქტების რეალური გამოყენება (მაგალითად, საბანკო დეპოზიტის ქონა) დადებით კორელაციაშია ბავშვების ფინანსურ განათლებასთან. ჩვენ ვერ დავასკვნით ამ ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს მშობლების ფინანსური განათლების როლი აღნიშნულ საკითხში.

4.2 სკოლა-ბანკის პროექტის შეფასება

მონაცემები არ გვამღევს შესაძლებლობას, გამოვიყენოთ პარამეტრული ან ნახევრად პარამეტრული მოდელები, ამის ნაცვლად ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ საშუალო მნიშვნელობების შედარებებზე, რათა შევაფასოთ სკოლა-ბანკის პროექტის ეფექტიანობა. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ პასუხების რაოდენობა პრე და პოსტ-ტესტებში ერთნაირი არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ 232 მოსწავლე კი ჩაერთო სკოლა-ბანკის პროექტში, მაგრამ მხოლოდ 161 მოსწავლემ დაამთავრა კურსი. კურსის დატოვების ზუსტი მიზეზები უცნობია, მაგრამ ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგების ინტერპრეტაციაზე.

როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ჩვენ გავზომეთ ფინანსური განათლება სკოლა-ბანკის პროექტის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ სხვადასხვა ქვეჯგუფებში. საშუალოდ, ფინანსური განათლების დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლა-ბანკის პროექტის დასრულების შემდეგ, ფინანსური განათლების შესახებ კითხვების 77%-ზე მივიღეთ სწორი პასუხები, მაშინ, როდესაც სკოლა-ბანკის პროექტის დაწყებამდე სწორი პასუხების რაოდენობა მხოლოდ 68% იყო.

ცხრილი 2. ფინანსური განათლება სამი ძირითადი კომპონენტის მიხედვით

	დამოკიდებულება	ქცევა	ცოდნა
პრე-ტესტი	83.6%	66.1%	64.1%
პოსტ-ტესტი	90.1%	63.7%	81.1%
სხვაობა	6.5%*	-2.4%	17%***

წყარო: ავტორის გამოთვლები

კვლევამ აჩვენა, რომ ფინანსური განათლების ასეთ გაუმჯობესებას მეტწილად განაპირობებს ფინანსური ცოდნისა და ფინანსური დამოკიდებულების მნიშვნელოვანი ზრდა, რისი ეფექტიც ფინანსურ ქცევაზე (პასუხები კითხვებზე: მე, რეგულარულად, ვინახავ ფულს უსაფრთხო ადგილას და ყოველთვის ყურადღებით ვგეგმავ, თუ როგორ და რაში დავხარჯო ფული) ძალიან შეზღუდულია (იხ. ცხრილი 2). ეს შედეგები თანხმობაშია უკვე არსებულ კვლევებთან (Batty et al. (2015), Kalwij et al. (2017)), რომლებმაც დაასკვნა, რომ მოკლევადიან პერიოდში ფინანსური განათლების პროგრამები ზრდის ფინანსურ ცოდნასა და დამოკიდებულებას, თუმცა ფინანსური ჩვევების ქცევად ჩამოყალიბებას დრო სჭირდება.

ცხრილი 3. ფინანსური განათლების დონე პროექტის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ სხვადასხვა ქვეჯგუფების მიხედვით

	საშუალო	ბიჭი	გოგო	დედაქალაქი	სხვა ქალაქები	მე-7 კლასი	მე-8 კლასი	აქვს დეპოზიტი	არ აქვს დეპოზიტი	მონაწილეთა რაოდენობა
პრე-ტესტი	68%	68%	68%	71%	65%	69%	67%	76%	67%	232
პოსტ-ტესტი	77%	77%	76%	84%	71%	80%	74%	77%	77%	161
სხვა	9%***	9%***	8%***	13%***	6%**	11%***	7%**	1%	10%***	

წყარო: ავტორის გამოთვლები

სკოლა-ბანკის პროექტის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ, ბიჭებისა და გოგოების ფინანსური განათლების დონე თითქმის ერთნაირი იყო. სკოლა-ბანკი არ არის სავალდებულო საგანი, მასში მხოლოდ ამ საკითხით დაინტერესებული მოსწავლეები მონაწილეობდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ შერჩეულ იქნა მოსწავლეები, რომელთაც მეტ-ნაკლებად ერთნაირი ინტერესები და საწყისი ფინანსური განათლების დონე ჰქონდათ. კვლევამ აჩვენა, რომ ფინანსური განათლების დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ორივე ჯგუფში. სკოლა-ბანკის პროექტის დაწყებამდე, გოგოებმაც და ბიჭებმაც კითხვების 68%-ს უპასუხეს სწორად, პროექტის დასრულების შემდეგ კი სწორად გაცემული პასუხების რაოდენობა 77%-მდე გაიზარდა ორივე ჯგუფის შემთხვევაში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა-ბანკის პროექტის დაწყებამდე თბილისისა და სხვა ქალაქების (რუსთავის, მცხეთისა და ქსნის) სკოლების მოსწავლეთა ფინანსური განათლების დონე განსხვავებული იყო და სხვაობა 6 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა. კურსის დასრულების შემდეგ, ფინანსური განათლების დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ორივე ქვეჯგუფში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საშუალოდ, თბილისის სკოლების მოსწავლეთა ფინანსური განათლების დონე უფრო გაუმჯობესდა (13 პროცენტული პუნქტით), ვიდრე სხვა ქალაქების (6 პროცენტული პუნქტი). ამგვარად, თბილისისა და სხვა ქალაქების სკოლების ფინანსური განათლების დონეებს შორის სხვაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მონაცემებიდან ამ სხვაობის ზუსტი მიზეზების დადგენა შეუძლებელია, თუმცა საჭიროა უფრო სიღრმისეული კვლევა იმის დასადგენად, რატომ იყო პროექტი ნაკლებად ეფექტიანი თბილისს გარეთ (სტუდენტების, მოსწავლეების თუ სხვა ადმინისტრაციული თუ ტექნიკური მიზეზების გამო)?

ვინაიდან სკოლა-ბანკი იყო პირველი ფორმალური ფინანსური განათლების კურსი, რომელიც სკოლაში ისწავლებოდა, ჩვენ დავადგინეთ, რომ მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეთა ფინანსური განათლების დონე თითქმის ერთნაირია და 67-69%-ს შორის მერყეობს. სკოლა-ბანკის პროექტის დასრულების შემდეგ, ფინანსური უნარ-ჩვევების გაუმჯობესების დონე უფრო მაღალი იყო მე-7 კლასის მოსწავლეების (11 პროცენტული ერთეულით) შემთხვევაში, ვიდრე მე-8 კლასის მოსწავლეების (7 პროცენტული ერთეულით) შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსწავლეებმა, რომელთაც აქვთ საბანკო დეპოზიტი, საშუალოდ, პრეტესტში კითხვების 76%-ს გასცეს სწორი პასუხი, იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 67% იყო საბანკო დეპოზიტის არმქონე მოსწავლეების შემთხვევაში. სკოლა-ბანკის პროექტის შემდეგ ვხედავთ, რომ საბანკო დეპოზიტის მქონე მოსწავლეთა ფინანსური განათლების დონე თითქმის არ შეცვლილა, სამაგიეროდ დეპოზიტის არმქონე მოსწავლეთა ფინანსური განათლების დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შედეგად, სკოლა-

ბანკის პროექტის დასრულების შემდეგ, ამ ორი ჯგუფის მოსწავლეთა ფინანსური განათლების დონეები გათანაბრდა.

ამგვარად, შედეგი, რომ საბანკო დეპოზიტის ქონა დადებით კავშირშია ფინანსურ განათლებასთან, არ გვაძლევს შესაძლებლობას ვიმსჯელოთ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე. გამოტოვებული ცვლადის ეფექტი შეიძლება ჩაითვალოს მოდელის მთავარ შეზღუდვად.

5. დასკვნითი შენიშვნები და რეკომენდაციები

ფინანსური განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს შინამეურნეობის ქცევაში. დაბალი განათლების მქონე ადამიანები ნაკლებად მონაწილეობენ საფონდო ბირჟებში, ადგენენ პენსიაზე გასვლის გეგმას და, შედეგად, გაცილებით ნაკლებ სიმდიდრეს აგროვებენ. ამიტომ საჯარო უწყებების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, კომპერციული ბანკებისა და სხვა ინსტიტუტების მიერ ფინანსური განათლების პოპულარიზაცია გადამწყვეტია ამ პროცესში. საუკეთესო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ფინანსური განათლების პროგრამები გაცილებით ეფექტურია, როდესაც მორგებულია კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებზე, მაგალითად, ბავშვებზე.

ნაშრომი აფასებს ფინანსური განათლების დონეზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებს სკოლის მოსწავლეების შემთხვევაში და აფასებს საქართველოს 11 საჯარო სკოლაში პილოტირებულ სკოლა-ბანკის პროექტის ეფექტიანობას. ძირითადი მოდელიდან მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ სქესი, კლასი, სკოლის ადგილმდებარეობა (დედაქალაქი) და შემოსავლის წყარო არ არის ძლიერ კორელაციაში სკოლის მოსწავლეების საწყისი ფინანსური განათლების დონესთან. დავინახეთ, რომ მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია არსებობს საბანკო დეპოზიტის ქონასა და საწყის ფინანსურ განათლებას შორის. ეს არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, თუმცა რიგი არგუმენტები არსებობს, ფორმალურ ფინანსურ პროდუქტებზე ადრეულმა წვდომამ როგორ შეიძლება გააძლიეროს მოსწავლეების ფინანსური განათლება. როდესაც ბავშვებს აქვთ საბანკო დეპოზიტი, მათ პრაქტიკული ფინანსური უნარ-ჩვევები შეიძლება შეიძინონ ბანკში მისვლით, დეპოზიტზე თანხის დადებით, საპროცენტო შემოსავლის დათვლით და ა.შ. თუმცა, მეორე მხრივ, მშობლების როლი ბავშვების ფინანსურ განათლებაში გადამწყვეტია და კიდევ უფრო სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს.

რაც შეეხება სკოლა-ბანკის პროექტის ეფექტიანობას, კვლევამ აჩვენა, რომ პროექტის დასრულების შემდეგ, შერჩეული სკოლების მოსწავლეების ფინანსური განათლების საშუალო დონე გაიზარდა, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- მონაწილეთა მხოლოდ 70%-მა დაასრულა სკოლა-ბანკის კურსი. შეიძლება არაერთი მიზეზი არსებობდეს, რატომ დატოვა კურსი მონაწილეთა 30%-მა. ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს კურსის მასალებთან ან სხვა ადმინისტრაციულ საკითხებთან, თუმცა ცხადია, რომ პროექტის განხორციელების შემდეგ ეტაპზე ეს ფაქტორი უნდა იქნას გათვალისწინებული. კურსიდან გამოთიშვის ასეთმა მაღალმა მაჩვენებელმა შეიძლება გავლენა იქონიოს შედეგების ინტერპრეტაციაზეც.
- კვლევამ აჩვენა, რომ სკოლა-ბანკი უფრო ეფექტიანია თბილისში, ვიდრე სხვა ქალაქების სკოლებში. თბილისის სკოლის მოსწავლეების ფინანსური განათლების დონე უფრო გაუმჯობესდა, ვიდრე სხვა ქალაქების სკოლის მოსწავლეების. კიდევ უფრო მეტი კვლევაა საჭირო, რატომ იყო პროექტი

ნაკლებად ეფექტიანი თბილისს გარეთ (სტუდენტების, მასწავლებლების თუ სხვა ადმინისტრაციული თუ ტექნიკური მიზეზების გამო)?

- საბანკო დეპოზიტის ქონა დადებით კავშირშია ბავშვების ფინანსური განათლების დონესთან. ეს არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მიუხედავად ამისა, არაერთი დამაფიქრებელ შედეგზე შეიძლება ვიმსჯელოთ. პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი არის მშობლების როლი ბავშვების ფინანსურ განათლებაში. მშობლებს შეუძლიათ გადასცენ საკუთარი ფინანსური უნარ-ჩვევები შვილებს ან მისცენ ადრეული წვდომა ფორმალურ ფინანსურ პროდუქტებზე. მეორე მხრივ, იაპონიას აქვს კომერციული ბანკებისა და სკოლების თანამშრომლობის საინტერესო გამოცდილება. საბავშვო ბანკები იაპონიაში საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სკოლების გავლით შეიტანონ ან გაიტანონ თანხა ფინანსური ინსტიტუტებიდან. ასეთ გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლა ახალისებს მოსწავლეებს, რეგულარულად დაზოგონ თანხა, რასაც შედეგად მოჰყვება მომავალში მყარი დანაზოგის გაკეთების ჩვევის გამომუშავება.
- პილოტირებული სკოლა-ბანკის პროექტი ძირითად აქცენტს აკეთებდა საგანმანათლებლო მოდულზე, თუმცა უნდა შემუშავდეს პროექტის საბანკო კომპონენტიც, რაც სკოლის მოსწავლეებსა და ბანკების წარმომადგენლებს შორის პირდაპირ კომუნიკაციას გულისხმობს. მოდულის ნაწილი უნდა იყოს ვორკშოპები და სასწავლო ტურები ბანკებში. ბანკების მონაწილეობა პროცესში კიდევ უფრო აძლიერებს სკოლის მოსწავლეების როგორც თეორიულ, ისე ფინანსურ უნარ-ჩვევებს.
- ჩვენ განვიხილეთ მშობლების როლი ბავშვების ფინანსურ განათლებაში. ნაყოფიერი იქნება, თუ მოსწავლეებს დაევალებათ პროექტების ან საშინაო დავალებების შესრულება მშობლებთან ან ოჯახის სხვა წევრებთან ერთად. ეს გააძლიერებს მშობლებსა და შვილებს შორის ფინანსურ საკითხებზე კომუნიკაციას.

- Batty, M., Collins, J. M., & Odders-White. (2015). Experimental evidence on the effects of financial education on elementary school students' knowledge, behavior, and attitudes. *Journal of Consumer Affairs*, 49(1), 69-96.
- Behrman, J. R., Mitchell, O. S., Soo, C. K., & Bravo, D. (2012). How financial literacy affects household wealth accumulation. *American Economic Review*, 102(3), 300-304.
- Beverly, S., Sherraden, M., Cramer, R., Williams Shanks, T., Nam, Y., & Zhan, M. (2008). Determinants of asset holdings. In S.-M. McKernan & M. Sherraden (Eds.), *Asset building and low-income families* (pp. 89–151). Washington, DC: The Urban Institute Press.
- Chen, H., & Volpe, R. P. (2002). Gender differences in personal financial literacy among college students. *Financial services review*, 11(3), 289.
- Friedline, T., Elliott, W., & Chowa, G. A. (2013). Testing an asset-building approach for young people: Early access to savings predicts later savings. *Economics of Education Review*, 33, 31-51.
- Furnham, A. (1996). The economic socialization of children. *Economic socialization: The economic beliefs and behaviors of young people*, 11-34.
- Grohmann, A. (2016). The gender gap in financial literacy: income, education, and experience offer only partial explanations. *DIW Economic Bulletin*, 6(46/47), 531-537.
- Hastings, J. S., & Tejeda-Ashton, L. (2008). Financial literacy, information, and demand elasticity: survey and experimental evidence from Mexico (No. w14538). National Bureau of Economic Research.
- Hong, H., Kubik, J. D., & Stein, J. C. (2004). Social interaction and stock-market participation. *The journal of finance*, 59(1), 137-163.
- Hung, A., Parker, A. M., & Yoong, J. (2009). Defining and measuring financial literacy.
- Johnson, E., & Sherraden, M. S. (2007). From Financial Literacy to Financial Capability among Youth. *J. Soc. & Soc. Welfare*, 34, 119.
- Kalwij, A. S., Alessie, R., Dinkova, M., Schonewille, G., van der Schors, A., & van der Werf, M. (2017). The effects of financial education on financial literacy and savings behavior: Evidence from a controlled field experiment in Dutch primary schools. *USE Discussion paper series*, 17(05).
- Kim, J., LaTaillade, J., & Kim, H. (2011). Family processes and adolescents' financial behaviors. *Journal of family and economic issues*, 32(4), 668-679.
- Kotlikoff, L., & Bernheim, B. (2001). Household financial planning and financial literacy in Essays on saving, bequests, altruism, and life-cycle planning.
- Mandell, L. (2010, December). Child allowances – Beneficial or harmful? Paper presented at the Consumer Federation of America 2010 Financial Services Conference
- Mandell, L., & Klein, L. (2009). The impact of financial literacy education on subsequent financial behavior.

- Moore, D. L. (2003). Survey of financial literacy in Washington State: Knowledge, behavior, attitudes, and experiences. Washington State Department of Financial Institutions.
- Sekita, S. (2011). Financial literacy and retirement planning in Japan. *Journal of Pension Economics & Finance*, 10(4), 637-656.
- Shanks, T. R. W., Kim, Y., Loke, V., & Destin, M. (2010). Assets and child well-being in developed countries. *Children and Youth Services Review*, 32(11), 1488-1496.
- Sherraden, M. (1991). Assets and the poor: A new American welfare policy. Armonk, NY:ME Sharpe.
- Sherraden, M. S., & McBride, A. M. (2010). Striving to save: Creating policies for financial security of low-income families. Ann Arbor, MI: University of Michigan Press.
- Van Rooij, M., Lusardi, A., & Alessie, R. (2011). Financial literacy and stock market participation. *Journal of Financial Economics*, 101(2), 449-472.
- Zhan, M., Anderson, S. G., & Scott, J. (2006). Financial knowledge of the low-income population: Effects of a financial education program. *J. Soc. & Soc. Welfare*, 33, 53.

დანართი

ცხრილი 1: მოსწავლეთა გეოგრაფიული განაწილება კითხვარების ტიპის მიხედვით

	პრე- ტესტი	პოსტ- ტესტი
თბილისი	110	74
რუსთავი	94	66
ქსანი	15	8
მცხეთა	13	13
ჯამი	232	161

ცხრილი 2. მოსწავლეთა გენდერული განაწილება კითხვარების ტიპის მიხედვით

	პრე- ტესტი	პოსტ- ტესტი
ბიჭი	110	61
გოგო	122	100
ჯამი	232	161

ცხრილი 3. მოსწავლეთა კლასების მიხედვით განაწილება კითხვარების ტიპის მიხედვით

	პრე- ტესტი	პოსტ- ტესტი
მე-7 კლასი	124	76
მე-8 კლასი	105	80
მე-9 კლასი	3	3
არ ეხება	-	2
ჯამი	232	161

ცხრილი 4. სიზუსტის შემოწმება, რიგი ჯგუფების გამორიცხვა

	არ შედის ქსნის საჯარო სკოლა	არ შედის ერედის საჯარო სკოლა	არ შედის მე-9 კლასის მოსწავლე ბი
ბიჭი	-0.016 (0.029)	-0.032 (0.030)	-0.021 (0.030)
მე-8 კლასი	0.019 (0.031)	0.022 (0.032)	0.022 (0.031)
მე-9 კლასი	-0.053 (0.100)		
დედაქალაქი	-0.086 (0.070)	-0.033 (0.084)	-0.080 (0.071)
შემოსავლის წყარო	0.067** (0.033)	0.031 (0.037)	0.032 (0.037)
საბანკო დეპოზიტი	0.086* (0.044)	0.105** (0.042)	0.085* (0.044)
მუდმივა	0.725*** (0.065)	0.679*** (0.081)	0.725*** (0.065)
სკოლის ეფექტი	YES	YES	YES
დაკვირვებათა რაოდენობა	213	213	222
R-squared	0.084	0.077	0.070

შესწორებული სტანდარტული ცდომილებები მოცემულია ფრჩხილებში

*** $p < 0.01$, ** $p < 0.05$, * $p < 0.1$

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი ეკონომიკის დარგში საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების სისტემის, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით.